№ 628 შაბათი, 12 სექტემბერი. 1896—1898 112 შაბათი, 12 სექტემბერი № 628

სტამბა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურო ქარვასლა.

ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ.“ წიგნის მაღაზიას.

ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.

პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.

ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—6 კ.

Типографія и Редакція „Цнобисъ Пурцели“ Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363.

Ресторанъ «Южные номера» обѣдъ и ужинъ

ახლად გამართული რესტორანი

## „იუჟნი ნომერა“

ტფილისი, ბარონის ქუჩაზე

ყოველთვის იშოვება მშვენივრად დ გემოიანად გაკეთებული

სადილ-ვახშამი და საუზმე

ხორაგი ყოველთვის ახალი და სუფთაა

რესტორანთან არის მრავალი კაბინეთები და ოთახები

იქვე მშვენიერს ბაღში აუზია ცოცხალის თევზებით

ფასი ყველაფრისა იაფია

(30—23) პატივისცემით ილია აბრამიშვილი

Ресторанъ «Южные номера» обѣды, ужины, дешевизна

---



მალე აქედან გამგზავრების გამო

იაფად იყიდება მოლაპარაკე თუთიყუშები

იქვე ყიდულობენ

კავკასიის ნადირებს ცხოველად:

ირმებს, ჯეირანებს, შურთხებს, ჯიხვებს, გარეულ თხებს და სხვა გარეულ ცხოველთა.

მსურველნი მიჰმართავენ: მიხეილის ქუჩა, № 106, ბარამოვის სახლებში.

(12—3) ჰუგო ჯინკლერი

---

გამოვიდა და ისყიდება

დ. მორდოვცევის ისტორ. რომანი აფხაზეთის ცხოვრებიდან

## ამირანის შვილნი

თარგმნილი თ. სახოკიას-მიერ

ფასი 1 მანათი. (10—1)

---

## წიგნის მაღაზია

### მიხეილ გაჩეჩილაძისა

(იგივე „ბლეხის“ ამხანაგობისა)

ვაუწყებთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ ჩვენ გავხსენით

დ. ყვირილაში, ჩუბინიძის სახლში

წიგნებისა და საკანცელარიო ნივთეულობის მაღაზია

მაღაზიაში გვაქვს ყოველგვარი ქართული გამოცემანი და სახელმძღვანელოები. ვკისრულობთ აგრეთვე სხვა-და-სხვა წიგნების გამოწერას. ვიღებთ წიგნებს საკომისიოდ გასაყიდათ და აგრეთვე ვაძლევთ ჩვენც ჩვენს გამოცემებს.

მაღაზიასთან გახსნილი გვაქვს წიგნების საკაზმავი სახელოსნო, სადაც მზადდება წიგნები სუფთად, იაფად და სწრაფად.

სოფლის მასწავლებლებს სახელმძღვანელო წიგნები, რვეულები და სხ. დაეთმობათ ძლიერ დაკლებულ ფასად.

მსურველს შეუძლიანხ მოგვმართოს შემდეგის ადრესით:

Квирилы. Книжный магазинъ М. Гачечиладзе. (15—5)

---

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხ. გამავ. საზ. წიგნის მაღაზიაში

## ქართული საერო და სასულიერო კილოები

შედარების ნიმუშებით

მღვდ. პ. კარბელაშვილისა

ფასი 20 კაპ. (10—6)

---

## ეგზამენები

ქუთაისის სამეურნეო სასწავლებლის პირველ კლასში შემოსასვლელი დაიწყება 23 სექტემბერს და გათავდება 25-ს. (5—1)

---

## ვექილი

## ს. ი. ზურაბოვი

გადავიდა სუდებნი ქუჩაზე, სახ. № 15. (10—4)

---

## ექიმი

## კ. ი. გძელიშვილი

მიიღებს

ყელისა, ცხვირისა და ყურით ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს. საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ.

Докторъ К. И. Гдзелишвили.

Михайловская, противъ кирки.

(100—43)

---

დოქტორი მედიცინისა დ ქირურგი

## ბენკლევსკი

ავადმყოფებს ღებულობს დილის 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

გრიბოედოვის ქუჩა, არშაკუნისეული სახლი № 30.

Докторъ медицины и хирургъ

**БЕНКЛЕВСКІЙ**

Грибоѣдовская № 30, д. бывш. Аршакуни. (წ.)

---

## კბილის ექიმი

ალექსანდრე სოლოლაშვილი

მიიღებს ავადმყოფებს ყოველ-დღე, დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე

მიხეილის ქუჩა № 32

(30—11)

---

დაიბეჭდა და ისყიდება

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

ამავე საზოგადოების ახალი გამოცემანი:

1) ამოდის, ნათდება! და სხვა მოთხრობები, ვაჟა-ფშაველასი. ფასი 15 კ.

2) კრილოვის არაკები, თარგმანი აკაკისა, მესამე გამოცემა, სურათებით. ფასი 30 კ.

(10—2)

---

სამკურნალო და ამბულატორია

## ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. კ. ბერრატი. დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r ფ. ბაცევიჩი.

თვალების ავადმყოფობას—ი. კ. ვარშავსკი.

ამბულატორიაში არის კაბინეტია საქიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საჟისთვის.

სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თოფურია.

*Лѣчебница С. В. Топурія* въ Кутаисѣ.

---

## ახალი ამბავი

*** დრამ. საზ. კრება გუშინ, წინ, საღამოს შესდგა. ბევრი ბაასისა და ლაპარაკის შემდეგ კრება გადაიდვა დამდეგ ოთხშაბათ საღა-

მოსათვის და ამ დღისათვის გამგეობამ უნდა წარადგინოს თავისი მოხსენება და სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა.

*** **ქიზიყის დეპოს ახალი გამგეობა.** როგორც იქმნა ქიზიყის დეპოს, ამდენი პაპან-წყვეტის შემდგგ, ეშველა და წარსულ კვირას აურჩევიათ ახალი გამგეობა. წინანდელი წევრი გამგეობისა ბ-ნი ივანე გომელაური დარჩენილა, ხოლო დიმ. ნადირაძის და დ. ჯავაშვილის მაგიერ, რომელთაც აღარინდომეს ხელმეორედ სამსახური, კრებამ აირჩია ბ-ნნი ფილიპე მახარაძე, იასონ ჩიგოგიძე და ნიკოლოზ პაპიაშვილი. ამ რიგად ეხლა ქიზიყის დეპოს გამგეობა შესდგება ოთხი წევრისაგან, რომელთა შორის ორს ბ-ნ მახარაძეს და ჩიგოგიძეს ეძლევათ ჯამაგირი და დანარჩენ ორს ბ-ნ გომელაურს და პოპიაშვილს დივიდენდი მოგებისაგან.

*** **შაჰის ჩამოსვლა.** მისი უმაღლესობა სპარსეთის შაჰი მუზაფარედდინი მომავალ 1899 წელს გაზაფხულზე სპარსეთიდან პეტერბურგს გაემგზავრება და მგზავრობის დროს, სხვათა შორის, ტფილისშიაც დაჰყოფს ორ-სამს დღეს.

*** **დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის დახვედრა ტფილისში.** პოლიცმეისტერი აცხადებს, რომ 17 სექტემბერს ტფილისის მცხოვრებელთა შეუძლიანთ თავიანთ სახლები ბაირაღებით დაამშვენონ და საღამოს გააჩირაღდნონ, რადგანაც ამ დღეს ტფილისში უნდა მოვიდეს კავკასიის ნამესტნიკად ნამყოფი დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე.

*** **პოლიტეხნიკუმის საქმე.** გუშინ-წინ, 10 სექტემბერს, ქალაქის გამგეობამ მიჰმართა ტფილისის გუბერნატორს და სთხოვა, ნება მოგვეცით დაუხვდეთ მისს იმპერატორებითს უმაღლესობას მიხეილ ნიკოლოზის ძეს რკინის გზის ტფილისის სადგურზე და წარუდგინოთ დეპუტაცია, რომელმაც უნდა სთხოვოს დახმარება ტფილისში პოლიტეხნიკუმის დაარსების საქმეში.

*** **ანტონ ფურცელაძის ქადაგებანი.** ქუთაისში, ბ-ნ ილია ქყონიას სტამბაში, ამ ჟამად იბეჭდება და მალე გასასყიდადაც გამოვა საქართველოს ცნობილის მწყემსმთავრის და მქადაგებლის ანტონ ქყონდიდელის (ოტია დადიანის ძის) ქადაგებანი. წიგნი იბეჭდება ჩვენის ისტორიკოსის ბ-ნის თ. ჟორდანიას მეთვალყურეობით.

*** **თიანეთის სკოლის გამო.** ამას წინად კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების საბჭომ გადასდო 4,000 მანეთი და გადასწყვიტა ამ ფულით აღაშენოს თიანეთში დამწვარის სკოლის მაგიერ ახალი ქვითკირის სახლი სკოლისათვის. ხოლო სახლის აშენებამდე დროებით სხვა სახლი უნდა დაიქირავონ და ამისათვის წლიურად 120 მანეთია გადადებული.

*** **შაქრის ჭარხალი კავკასიაში.** ერთმა სავაჭრო სახლმა სთხოვა კავკასიის სამეურნეო საზოგადოების პრეზიდენტს, ხელი შემიწყვეთ, კავკასიაში საცდელად შაქრის ჭარხლის დათესვაშიო. მე-70 წლებში ასე საცდელად დასთესეს შაქრის ჭარხალი გორის მაზრაში, თავ. შალიკაშვილის მამულში და ცდას ძალიან საიმედო შედეგები მოჰყვა. გარდა ამისა ამ ორიოდე, წლის წინად ქუთაისის გუბერნიაშიაც დასთესეს საცდელად ეს ჭარხალი და იქაც კარგი შედეგები მოჰყვა ცდას. რადგან ტფილისის გუბერნიაში შაქრის ჭარხალი უფრო ვარგობს, ამის გამო საზოგადოების ზოგიერთმა წევრებმა სურვილი განაცხადეს, ჩვენ მამულში დავთესავთ ჭარხალს საცდელადაო.

*** **საჯარო გაჭრობა მამულების გასასყიდად.** 27 და 28 ნოემბერს, სათავად-აზნაურო სახელმწიფო ბანკის განყოფილების განკარგულებით, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ბანკის განყოფილებაში დაგირავებულ მამულების გასასყიდად. ასეთი მამულების რიცხვი ტფილისის გუბერნიაში არის 75, აქედან 10—ტფილისის მაზრაში, 18—ბორჩალოსაში, 26—გორისაში, 6 სიღნაღისაში, 3—დუშეთისაში, 1 თელავისაში და 1 თიონეთისაში, სულ 1.893,973 მან. და 93 კაპ. ვალით, და, ბოლოს, ქუთაისის გუბერნიაში—28 მამული, აქედან 18—ქუთაისის მაზრაში, 4—სენაკისაში, 4—ოზურგეთისაში და 2 შორაპნისაში, სულ 610,700 მან. და 60 კაპ. ვალით ამ გვარად საჯარო ვაჭრობით გასაყიდია 105 მამული 2,535,720 მან. და 28 კაპიკის ვალით. ვერაფერი სანუგეშო ამბავია!

*** **ჯარის დათვალიერება.** 17 სექტემბერს, მისი ამპერატორებითი უმაღლესობის დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის თანადასწრებით, დიდუბის იქით, სადოღე ადგილისა და გერმანელთა ახალშენს შუა, დაათვალიერებენ ჯარს, რომელიც დაბანაკებულია ვერაზე და ნავთლუღში.

*** **ოზურგეთის ქალაქის სასწავლებლის გადაკეთება.** მთავარ-მართებლის კანცელარია დაეკითხა მიწად მოქმედების მინისტრის რწმუნებულის კანცელარიას იმის შესახებ, თუ რამდენად შეესაბამება ადგილობრივ მკვიდრთა ინტერესებს ოზურგეთის ქალაქის სასწავლებლის გადაკეთება დაბალ სამეურნეო სასწავლებლად.

*** **ბრძოლა ცეცხლთან.** უწმ. სინოდის განკარგულებით, ყველა ეპარქიებში, ცეცხლთან უფრო მარჯვე ბრძოლის გასაწევად სოფლებში, ნება ეძლევათ სოფლის დარაჯებს ასტეხონ ხოლმე სამრეკლოზე დიდი ზარის რეკვა, როცა ცეცხლი გაჩნდება, როგორც მათს, ისე მახლობელ სოფლებში.

*** **გზების შეკეთება.** დ. ხონის მცხოვრებთ განზრახვა აქვთ საერთოდ სთხოვონ კავკასიის უმაღლეს მთავრობას, შეღით მცხოვრებთა მდგომარეობაში და აიძულეთ, ვისიც ჯერ არს, შეგვიკეთონ გზები, რომლებიც მეტად უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფებაო.

*** **ყაჩაღობის მოსპობის საქმე.** კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწის გენ.-ლ. ა. ა. ფრეზეს თავმჯდომარეობით დაარსებული კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს კავკასიაში ყაჩაღობის მოსასპობი ზომები, ისევ შეუდგა მუშაობას.

*** **სავაჭრო-სამრეწველო გამოფენა კავკასიაში.** როგორც „სინ. ოტ.“-ას გაუგია, ამ ჟამად ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ მომავალ წელს გამართულ იქმნეს კავკასიაში განსაკუთრებული სავაჭრო-სამრეწველო გამოფენა, რომელზედაც უნდა გამოფენილ იქმნეს მხოლოდ ადგილობრივი ნაწარმოები. გამოფენაში მონაწილეობა უნდა მიიღონ ყუბანისა, თერგისა და დაღესტნის ოლქებმა და შავი ზღვის გუბერნიამ.

*** **საკვირაო სკოლა.** აქაურს ვაჟთა საკვირაო უფასო სკოლაში ჩაეწერა 48 კაცი, სკოლაში სიარულის მსურველი. მოსწავლეთა უმრავლესობას შეადგენენ მუშები.

*** **მეპურეთა თხოვნა.** 10 სექ. ტფილისელმა მეპურეებმა ტფილისის ქალაქის გამგეობას საერთო თხოვნა წარუდგინეს: რადგან ტფილისში ფქვილი გაძვირდა, ასწიეთ პურის ნიხრიო. ფქვილის გაძვირება, თუმცა ტფილისში ფქვილი ბევრი შემოაქვდ, გამოწვეულია იმით, რომ ფქვილის დიდი მოვაჭრენი, რადგან კასპისა და შავ ზღვებზე ნავოსნობა მალე შესწყდება, აგროვებენ ამ ჟამად ფქვილს საზამთროდ, და რაკი მეტოქე (კონკურენტი) არავინა ჰყავთ, ძვირად ჰყიდიან ფქვილს,

*** **ბეითალთა კრება.** ამ თვეში განზრახვა აქვთ მოიწვიონ ტფილისში ამიერ-კავკასიის საგუბერნიო ბეითლების კრება იმ კითხვის განსახილველად, რომ ყველგან კავკასიაში შემოღებულ იქმნეს კანონი ჭირიან საქონლის სავალდებულო დახოცვის შესახებ.

*** **საკომერციო სასწავლებელი ტფილისში.** ფინანსთა სამინისტრომ დაამტკიცა ტფილისის საკომერციო სასწავლებლის წესდება, რომელიც არსდება ადგილობრივი ვაჭრების ხარჯზე. სასწავლებელი შესდგება შვიდ უმთავრეს და ერთ მოსამზადებელ კლასისაგან. საზოგადო განათლების საგნებს გარდა, ასწავლიან შემდეგ სპეციალ საგნებს: კომერციულ ართმეტიკას, ბუჰლალტერიას, კომერციულ კორესპონდენციას, რუსულსა და უცხო ენებზე, პოლიტიკურ ეკონომიას, კანონთ-მეცნიერებას, საქონლის მეცნიერებას ტეხნოლოგიით, კომერციულ გეოგრაფიას და კალიგრაფიას; ლაბორატორიაში პრაქტიკულად ასწავლიან ქიმიას და საქონლის მეცნიერებას. მოწაფეთათვის სავალდებულოა ორი უცხო ენის (ფრანგულის, გერმანულის ან ინგლისურის) შესწავლა, მათი არჩევი. ადგილობრივ ენებს, სიმღერას, ცეკვას და მუსიკას ასწავლიან მსურველთ, როგორც არა სავალდებულო საგნებს განსაკუთრებულ სასყიდლით. სასწავლებელში მიიღებიან ბავშვები გაუნარჩევლად წოდებისა და სარწმუნოებისა, ხოლო უპირატესობა მიეცემათ ვაჭრების შვილებს. ვინც სასწავლებლის კურსს დაბმთავრებს, მას მიენიჭება ისეთივე უფლებანი, როგორც რეალურ სასწავლებელში კურს დამთავრებულთ. („Торг.-Пром. Газ.“)

*** **ჟურნალი „მოამბე“.** გამოვიდა ჟურნალი „მოამბე“-ს მე-VII (ივლისის) №-რი შემდეგი შინაარსისა: ანტონიოს და კლეოპატრა.—ხუთ-მოქმედ. ტრაგედია უილიამ შექსპირისა, თარგმანი ივ. მაჩაბლისა (დასასრული). ჩემი პირველი დრამა.—ჰერმან ზუდერმანისა, თარგმანი ივ. ზურაბიშვილისა. ნამდვილი სამსახური.—ი. პოტაპენკოსი, თარგ. ეფროსინე კლდიაშვილისა. მძულხარ-მიყვარხარ.—ლექსი ვაჟა-ფშაველასი. გლეხიკაცის ისტორია.—ერკმან-შატრიანისა, ნაწილი მესამე, თარგმანი ი. მაჭავარიანისა. ორი კვირა მთაში.—მგზავრის შენიშვნები, ი. კახელისა (დასასრული). სასოფლო მეურნეობის წარმატება ევროპაში.—გიორგი გოგელიასი. აფხაზები—ეტნოგრაფიული მასალა, ნიკო ჯანაშიასი.

*** **დ. ჩოხატაური** (გურია). **საფოსტო გზის შესახებ.** ეს

გზა აუცილებელ საჭიროებას შეადგენს მთელ აღმოსავლეთის გურიის მცხოვრებლებისათვის, ამ გზიდან გადააქვთ აქაურებს თავიანთი ნაწარმოები, მაგალითად: სიმინდი, ღომი, თუთუნი, აბრეშუმი, ნიგვზის ხეები, არაყი და სხ. ამ გზიდანვე შემოაქვთ საჭირო ნივთები. ამ გზაზე ყოველ დღე დასრიალებს აუარებელი ეტლები. ერთი სიტყვით ამ გზით ცხოვრობს მთელი აღმოსავლეთის 50,000 გურიის მცხოვრები, მაგრამ სამწუხაროდ ეს გზა უყურადღებოდ არის მიგდებული, არაა მოკირწყლული, მაზე არ მოიძევა საიმედო ბოგირები, აქა-იქ ჩაშვავებულია და სხვ... ყველა ეს იმის მიზეზია, რომ ეს გზა იჯარით არის გაცემული ბ. მოიჯარადრე, (ერთი ჩოხატაურელი ვაჭარია) მისი ჯიბის ავსებას უფრო ეტრფის და ცდილობს, ვინემ ხალხისთვის კეთილდღეობასა და მოთხოვნილების დაკმაყოფილებას...

ამ ცოტა ხანში დაინგრა ნოღას დიდი ბოგირი და ამის დანგრევამ უფრო შეაწუხა აქაურები. ძალიან შეაფერხა ნაწარმოების გადატან. გადმოტანა და მოგზაურთა მიმოსვლა, მაგრამ ბ-ნი მოიჯარადრე ამაზე ყურსაც არ იბერტყავს, სადაც 60—80 კაცის მუშაობაა საჭირო, იქ ოცი და 25 კაციდაც იოლად მიდის, მაგალითად: ნოღის ბოგირი მდ. ხევის წყალზე დიდ შრომას ითხოვს და მალე გაკეთებას, იმას კი მიუყენებია 5—6 კაცი და ამითაც იოლად მიჰყავს საქმე...

— მოსავლის პირი. წლევანდელი წელიწადი ვერაფერ სანუგეშო იმედს იძლევა, აგერ თითქმის ნახევარი სექტემბერია დღეს, და არავითარი ჭირნახული არ შემწიფებულა, სიმინდის ყანები სულ ერთიან გაყვითლებულია, ღომის ყანები გამუდმებულის წვიმების გამო ვერ გაუმარგლიათ და მეტი წილი „გაშობილად“ გამხდარა, ადესის ყურძენი სულ ერთიან დაჭირანებული და „დამკვახულია“. ხალხის მწუხარებას საზღვარი არა აქვს, სულ წვიმებია და წვიმებია, ამბობენ წელს შიმშილობა იქნებაო...

«აბელი»

*** ქ. ქუთაისი. ქუჩების უვარგისობა. მესხეთის ქუჩის ვიწრო გადასახვევ ქუჩებზე (დასავლეთის მხრით) აუცილებლად საჭიროა თხრილები წყლის სავლელად. ამ უბნის მცხოვრებლები კარგად მოშორებულნი არიან ბაზარს, მათვის დიდად საჭიროა რიგიანი ქუჩები, როგორც საეტლოდ, ისე საქვეითოდ, მაგრამ სამწუხაროდ ამ კუთხეულ უბანში, როცა გაავდარდება, მთელი ორპირის და მესხეთის ქუჩების ნაწრეტი წყალი იყრის თავს, რომელიც დაემსგავსება მოზრდილ მდინარეს და გაფანტული მიმდინარეობს აქა-იქ. აქ ამ დროს ეზოები, ქვები და თვით სასიარულო გზაც დაფარულია წყლით, გეგონებათ თითქო სავლელი გზა განგებ გაკეთებული იყოს წყლის სავლელ თხრილად და თითქო ქუჩიდან გადანადენი წყალი მცხოვრებთ განგებ გადაყავდეთ ეზოების სარწყავად. ასეთი წყლის მოვარდნის დროს მისვლა-მოსვლა მეტად გასაჭირია, როგორც ქვეითისათვის აგრეთვე ეტლში მჯდომისათვის, მეტადრე მოსწავლე ყმაწვილებს აქვთ გაჭირვებული საქმე. პატარა მოსწავლენი მშობლებს ან მოსამსახურეებს გადაყავთ მშრალ გზამდის, მოზრდილები კი ხელში ჯოხის საშუალებით მიტოპავენ წელამდის წყალში და დიდის წვალებით გადიან მშრალ ქუჩაზე. ამას იქით-კი ახალგაზდობამ კიდევ ცახცახით უნდა . გაიაროს სკოლამდე რამდენიმე ვერსი. სწავლის შემდეგ შინ დაბრუნებისას ხელ-მეორედ იგივე გასაჭირი უნდა გამოიარონ. ამ პირობების გამო მოწაფენი ხშირად ხდებიან ავად და მათი მშობლებიც ხარჯშივარდებიან, რადგან ექიმის მოწვევა ძვირად უჯდებათ ისევ უგზოობის გამო. როდესაც ხანგრძლივი დარის მეოხებით მცხოვრებნი წყლის დაშრობას მოესწრებიან, მაინც ადგილ-ადგილ ქუჩებში რჩება გუბეები, რომლიდან ამოდის ცუდი სუნი, აფუჭებს ჰაერს და ავრცელებს ათას ნაირ ავადმყოფობას.

გასაკვირვალია, რატომ მცხოვრებნი მაინც არ ითავებენ თავიანთ უბნის განკარგებას.

ი. ტ.

*** ოზურგეთი. ბიბლიოთეკა და თეატრი. რამდენჯერ არ დაიწერა გაზეთებში აქაურ ბიბლიოთეკის უპატრონობაზე და თეატრის სახლის აშენებაზე (რომლის საძირკვლები დალპა კიდეც მინდორში), მაგრამ არ იქნა, არც ერთსა და არც მეორეს ყურის მგდებელი არ გაუჩნდა. ბიბლიოთეკაში არავითარი წეს-რიგი არ სუფევს. მას მოსდის ორი თუ სამი რუსულ-ქართული გაზეთი და ეს გაზეთებიც ერთმანეთში არეული ძველი და ახალი ერთად ჰყრია მაგიდაზე.

ვინ არის გამგე ბიბლიოთეკისა? — იკითხავთ. როცა აქ იყო თავ. ნ. თავდგირიძე, განაგებდა და ბიბლიოთეკაც მაშინ თავის დანიშნულებას ასრულებდა; ეხლა-კი არც გამგე ჰყავს ბიბლიოთეკას და თუ ჰყავს, ბიბლიოთეკისათვის-კი არა სცხელა! მიკვირს, როგორ გაუჭირდა ისე ოზურგეთს, რომ ერთი ყმაწვილი ვერ დაიქირავა ხუთ მანეთად მაინც წიგნთ-საცავის გამგედ! მაშინ, როდესაც სოფლებში ორი-სამი წელიწადი არსებობს ბიბლიოთეკა და თან-და-თან წინ მიდის, ოზურგეთის ბიბლიოთეკა-კი უკან-უკან იწევა. მართალი რომ ვთქვათ, ოზურგეთი და მისი ინტელიგენტები უფრო ბაქი-ბუქობის მოყვარულნი არიან, ვიდრე საქმის გაკეთებისა.

მე ვარ!

*** დ. ზესტაფონი. საჭირო განმარტება. „ივერიის“ 193 №-ში დაბეჭდილია წერილი ზესტაფონიდან, რომლის ავტორი სხვათა შორის მეც მეხება და ამბობს, თითქო მე საზოგადოების მოტყუება მინდოდა და ვითხოვე წიგნთ-საცავის შენახვისათვის 300 მან. ბ-ნი სეფისპირელი ამავე ბრალს მე წინა წერილშიაც მდებდა, რაზედაც მე თავის გასამართლებელი წერილი გავგზავნე გაზეთში, მაგრამ არ დაიბეჭდა. იმ წერილშიაც ვამბობდი და ახლაც ვიმეორებ, რომ ბ. სეფისპირელი ტყუილად ამბობს, ვითომ მე 300 მან. ვითხოვე. ამ ჩემი სიტყვების სიმართლის დასამტკიცებლად დავასახელებ იმავე მოწმებს, რომლებსაც ბ-ნი სეფისპირელი ასახელებს, სახელდობრ: ვ. არდიშვილს, ძ. გაჩეჩილაძეს, მ. ქანიშვილს და ბ. დეკანოზიძეს, ხოლო მე ამ პირთ დავუმატებ კიდევ ჩემის მხრივ კ. მოდებაძეს და ი. მაღლაკელიძეს. ვთხოვ ყველა ზემოხსენებულ პირთ თავიანთი აზრი გამოაცხადონ გაზეთის საშუალებით და დაამოწმონ, თუ რამდენად მართალია ბ. კორესპონდენტის მიერ მოჭორილი.

ა. არაბიძე

*** ს. მეტეხი (ქართლი). ძმების მოურიგებლობა. 1880 წ. ს. მეტეხში ერთმანერთს გაეყარა ორი ძმა დიმიტრი და სვიმონ ტოტონაშვილები და მას უკან დღემდის შფოთი და დავიდარაბა არის ერთმანეთს შორის. მუდამ უჩივიან ერთმანერთს ხან მაზრის უფროსთან და ხან მომრიგებელ მოსამართლესთან და ბევრი ფული დახარჯავთ ამ საჩივრებში. ბევრჯერ ისე უცემიათ ერთმანეთისთვის კეტებით, რომ მნახველთ მორჩენის იმედიც კი არა გვქონია. თუმცა ბევრჯერ მოურიგებია შუა კაცებს, მაგრამ მათ მორიგებას არა ეშველა-რა ამ თვრამეტ წელიწადში. ეს ღომივით ვაჟკაცები ისე გახადა ერთმანერთთან ბრძოლამ და სასამართლოში ფულის ხარჯვამ და მოცდენამ, რომ დღეს სულს იქით არა აბადიათ რა. საჭიროა ყურადღება მიაქციოს ადგილობრივმა ბოქაულმა და მოარიგოს ორივენი, თორემ ცუდი შედეგი მოჰყვება მუდამ ჩხუბსა და უკმაყოფილებას.

ალექსი მირზაშვილი

## რედაქციისაგან

—

ქუთაისში ნიკ. ღორიას. თქვენ ხელ-მეორედ უნდა გამოგზავნოთ წერილი.

# სამეცნიერო ცნობა

## მასალა ქართული ბოტანიკისთვის *)

(ვუძღვნი მოსკოვის ქართველ სტუდენტებს)

მამალ-ორგანო შესდგება ღეროსგან და სამტვეროსგან (ПИЛЬНИКЪ); სამტვერო უმეტესად ორი პარკუჭიდან შესდგება, რომლებშიაც არის ყვავილის მტვერი.

თუ მამალ-ორგანო ყვავილში თორმეტზე მეტია, მაშინ ამბობენ რიცხვი მამალ-ორგანოებისა განუსაზღვრელიაო (НЕОПРЕДѢЛЕННО). უმეტესად რიცხვი მამალ-ორგანოებისა არის: სამი, ექვსი, ხუთი და ათი. ბევრჯერ მამალ-ორგანოები შეერთებულნი არიან ხოლმე; შეერთება ხდება ხან ღეროებით, ხან-კი სამტვეროებით.

დედალ-ორგანო ანუ სური თუ მოთავსებულია იმ გვარად ყვავილის საჯდომზე, რომ ბადია ფოთლუკები და ფურცლები სანაყოფეს ქვეშ არიან მოთავსებულნი, მაშინ ასეთ სანაყოფეს (ЗАВЯЗЬ) უწოდებენ ზემოთ სანაყოფეს (ВЕРХНЯЯ ЗАВЯЗЬ). თუ დედალ-ორგანოს სანაყოფე ბადია ფოთლუკებისა და ფურცლების ქვეშ არის, მაშინ ასეთ სანაყოფეს ქვემო სანაყოფეს (НИЖНЯЯ ЗАВЯЗЬ) უწოდებენ. დედალ-ორგანოს შეიძლება ერთი სანაყოფე ჰქონდეს, მაშინ ასეთ ყვავილში მხოლოდ ერთი ნაყოფი ჩნდება; თუ დედალ-ორგანოს მრავალი სანაყოფე აქვს, მაშინ ასეთ ყვავილში მრავალი ნაყოფი ჩნდება; მაგალითად ჟოლო (МАЛИНА). სანაყოფეში ჩვენ ვხედავთ ბუდეებს (ГНѢЗДО); ბუდეში ხან ერთი და ხან რამდენიმე პატარა კვერცხმაგვარი საგანია; ამ კვერცხმაგვარ საგანს უწოდებენ თესლ-კვირტს, რადგანაც ამისგან შემდეგში თესლი ჩნდება.

ნაყოფი (ПЛОДЪ)

ნაყოფს უწოდებენ განაყოფიერებულ და დამწიფებულ სანაყოფეს; პურის, სიმინდის, ქერის მარცვლები არიან განაყოფიერებული და დამწიფებული სანაყოფე და ამიტომ მათი მარცვალნი არიან ნაყოფნი და არა თესლი. თესლი განაყოფიერებული და დამწიფებული თესლ-კვირტია. თესლი უმეტესად ნაყოფშია მოქცეული.

თუ ყვავილში რამდენიმე სანაყოფეა, მაშინ აქ ჩნდება რთული ნაყოფი (СЛОЖЕНЫЙ ПЛОДЪ), მაგალ. ჟოლო. თუ რომ ერთ ღეროზე მრავალი ყვა-

*) იხ. «ცნ. ფურც.» № 627.

ვილები სხედან ძლიერ ახლო-ახლო,— შეერთებულ ნაყოფს (соплодіе) რთული ნაყოფი ჩნდება ერთ ყვავილში, შეერთებული ნაყოფი-კი რამდენიმე ყვავილიდან ჩნდება, მაგალ. თუთა.

სანაყოფე გარს (околоплодникъ), ხანმ სანაყოფე დამწიფდება, სხვა-და-სხვა ცვლილება ემართება. თუ ეს გარსი, როცა ნაყოფი სამწიფეში შედის, ხმება, მაშინ ასეთ ნაყოფს უწოდებენ ხმელ ნაყოფს; თუ ცვრიანი რჩება, მაშინ ცვრიან ნაყოფს (сочный плодъ). მაშასადამე, ნაყოფები არიან ცვრიანი და ხმელი.

ცვრიან ნაყოფებს ეკუთვნიან მარცვლოვანი და კურკიანი.

თვით კურკაში ერთი თესლია, მხოლოდ სანაყოფე გარსი (околоплодникъ) სამ შრედ იყოფა: გარე შრე იძლევა კანს, შუათანა—რბილს, შიგნითი-კი კურკას.

ცვრიან-მარცვლებიან ნაყოფში რამდენიმე მარცვალია, მაგალითად მოცხარი (смородина), ყურძენი და სხვა.

ხმელი ნაყოფები იყოფებიან რამდენიმე ნაწილად: 1) ერთბუდოვანი პარკი (бобъ); ასეთი ნაყოფი აქვს ლობიოს, ცერცვს და სხვას. თვით ნაყოფში, პარკში, მრავალი თესლებია. რთული პარკი მწიფდება: შუაზე სკდება; 2) ორბუდოვანი პარკი (стручокъ). ამ ნაყოფში შუაზე ზღუდეა, ზღუდეზე თესლებია მიმბმული; ასეთი ნაყოფები აქვს კომბოსტოს, მდოგვს, ბოლოკს და სხვას; 3) ნაყოფი—თავი (головка)—ეს მრავალ თესლიანი და უმეტესად მრავალ ბუდიანი ნაყოფია, მაგ. ხაშხაში.

ყველა ზემოხსენებულნი ნაყოფნი დამწიფების უმალვე სკდებიან, თესლი თავის-თავად იფანტება; 4) მარცვალა (зерновка) პურის, სიმინდის, ქერის—ეს ყველა ნაყოფია და არა თესლი; „მარცვალას“ ეძახიან ისეთ ნაყოფს, რომლის ერთად-ერთი თესლი თანაშეეზრდება (срастатся) სანაყოფოს გარს. „მარცვალა“ და „მარცვალი“ ერთი და იგივე არ არის; ლობიოს მარცვალი და პურის „მარცვალა“ —პირველი თესლია, მეორე-კი ნაყოფი. 5) კაკალი—ამ ნაყოფს სანაყოფო გარსი გახევებული აქვს; შიგ მხოლოდ ერთი თესლია (გული). 6) რკო—წარმოადგენს კაკალს, მხოლოდ ბოლო პატარა ბადიაში ზის. 7) თესლ-გაცალკევებული მარცვალა (сѣмянка) არის ისეთი ნაყოფი, რომლის თესლი არ ეერთდება სანაყოფოს გარს, მაგალ. მზესუმზირას (подсолнечникъ) ნაყოფები; 8) ფრთოვანა (крылатка) არის ისეთი ნაყოფი, რომლის სანაყოფოს გარსი გაგრძელდება ხოლმე; ეს გაგრძელებული ნაწილი ფრთას მიემზგავსება ხოლმე და ამიტომ თვით ნაყოფს უწოდებენ ფრთოვანას (მაგალითად იფნს, ნაკერჩხალს (кленъ).

ყველა ზემოხსენებულნი ნაყოფნი სიმწიფის შემდეგ არ სკდებიან და ამიტომ თესლი თავის თავად არ გამოდის ამ ნაყოფებიდან.

მ. ხაალიშვილი

(შემდეგი იქნება)

## ყურმოკრული საუბარი

— გიორგი, შენიჭირიმე, ყური მათხოვე და ასეთ მდგომარეობიდან როგორმე გამომიყვანე,—სიცრუეს დაჩვეული ვარ და როდესაც შემატყო სიცრუეს ვლაპარაკობდე, ჩოხის კალთა მომიწიე სხვების შეუმჩნევლადო.

— დიდის სიამოვნებით! უთხრა გიორგიმ.

ეს ორი მეგობარი ერთს საღამოს თავადიშვილს ეწვივნენ ჩაიზე.

სხვა-და-სხვა ამბების შემდეგ საუბარი ჩამოვარდა ნადირობაზე. გიორგის ამხანაგმაც დაიწყო:

— „მე, ბატონებო, ერთხელ ისეთი მელა მოვკალი, რომ განცვიფრებაში მოვედი, საჟენ-ნახევარი კუდი ჰქონდა, არა ნაკლებით. (ამ დროს გიორგიმ ჩოხის კალთა მოუწია).

— დიახ, სწორედ დიდი კუდი ჰქონდა, შეიძლება საჟენ-ნახევარი არ ყოფილიყო, მაგრამ საჟენი მაინც... (გიორგიმ ჩოხა კიდევ მოუწია).

— სწორედ დიდი კუდი ჰქონდა, ორი არშინი მაინც იქნებოდა. (გიორგიმ კიდევ მოუწია ჩოხა).

გიორგის ამხანაგი ფეხზე წამოვარდა და ცოტა გულ-მოსულად უთხრა გიორგის:

— კაცო, სულ უკუდო ხომ არ გინდა მათქმევინოვო?!

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

10 სექტემბერი

**სიმლა.** უკანასკნელ კვირის განმავლობაში ბომბეის 149 კაცი გახდა ავად შავის ჭირით, მთელს ოლქში ამავე ხნის განმავლობაში გარდაიცვალა 3,000 სული, 4 სულ კურჩაში გარდაიცვალა, 2 კალკუტში, 12—მადრასის საპრეზიდენტოში, 8—ბანგალორში.

**კანდია.** ჩაიბარეს ჯერ-ჯერობით 1,600 ცალი თოფი. ინგლისის ელჩმა გამოუცხადა ქრისტიანეთა წინამძღოლს პოსტლდესუს, რომ ინგლისის მთავრობის წარმომადგენელთ იკისრეს იმისი პასუხის-გება, რომ მაჰმადინებს არა დაუშავდებათ-რაო. ამიტომ თუ მაჰმადიანებს თავს დაესხა ვინმეეს ინგლისელებზე თავს დასხმად იქმნება ჩათვლილიო.

**სოფია.** ბოლგარიის საკათედრო ტაძრის კურთხევაზე დასასწრებლად კონსტანტინეპოლში წავიდა გუშინ განსაკუთრებული მატარებელი 800 კაცით.

**ბუენოს-აირესი.** ჩილი და არგენტინის რესპუბლიკის მთავრობათა შორის აზრთა სხვა-და-სხვაობა მწვავდება.

**კონსტანტინეპოლი.** აკურთხეს ბოლგარიის საკათედრო ტაძარი. კურთხევას დაესწრნენ: მარკოვი, რუსეთის სადესპანოს წევრი და საელჩოს მოხელე. ოსმალებს დიდი სამხედრო სამზადისი ჰქონდათ, მაგრამ წესიერება არ დარღვეულა.

**ყანდია.** თოფების დარიგება არ შეწყვეტილა. ოსმალთა ელში 25,000-მდე თოფი უნდა იყოს. მეამბოხეთა პირობა მისცეს, რომ თუ მოგვესია ვინმე, ვეცდებით მოგერებას, ხოლო ჩვენ არავის დავესხმით თავსაო.

**იოკაჰამა.** გრაფ მურავიოვის მოწერილობის შესახებ იაპონიის მთავრობამ უპასუხა, რომ მე ვუერთდები კონფერენციის მოწვევის აზრსაო.

**ვენა.** „Polit. Corresp.“ იუწყება რომიდან: „იტალიის მიერ თავსდებული საქმე ანარხიზმის წინაამდეგ საერთაშორისო ბრძოლის გაწევის შესახებ უკვე დაიწყო. ამ საგნის გამო დიდთა სახელმწიფოთ ერთმანეთს შორის დიდი მიწერ-მოწერა აქვთ. ამ მიწერ-მოწერიდან აღმოჩნდა, რომ ყველგან უწინდელზე უფრო მეტად ჰგრძნობენ საჭიროებას, რომ ამ საქმეში სახელმწიფონი ერთმანეთს მჭიდროდ მიემხრნენ. რამდენმამე კაბინეტმა იტალიის წინადადების მიღებისათანავე თანხმობა განაცხადა. მტკიცე იმედი აქვთ, რომ საერთო თანხმობა ამ ახლო ხანში მოხდება.

**პარიზი.** კამისია, რომელსაც მინდობილი აქვს იმ მოთხოვნილების განხილვა, რომ დრეიფუსის საქმე გადასინჯულ იქმნასო,— იუსტიციის სამინისტროში შეიკრიბა. კომისიის დადგენილების შესახებ ჯერ არაფრის გაგება არ შეიძლება. კომისიის აზრი მინისტრთა საბჭოს სამშაბათს ეუწყება.


## განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება, ქალაქის ყველა მაღაზიებში და ეკკლესიებშიაც, ცხოვრება წმ. ქალწულ მოწამისა

**მარინესი**

(სურათით)

გამოცემა მორჩილის რ. ბარამიძისა

**ფასი ერთი შაური** (10—10)

**ურბენი L'urbain**

საზოგადოება, რომელიც აზღვევს თანხებს, მზითვებს, შემოსავლებს და სხვა. შეღავათიანის პირობებით ავადმყოფობისა თუ შეუძლებლობის დროსათვის.

**დაზღვეულთ მონაწილეობა ეძლევათ მოგებაში დაზღვევის პირველ წლიდანვე.**

კონტორა ამიერ-კავკასიისა, ამიერ-კასპიისა, თურქესტანისა და ბუხარის მხრისათვის იმყოფება **ტფილისში**, მიხეილის ქ. № 9, პოპოვის სახლი. ტელეფონი № 543.

მთავარი რწმუნებული ბაგრატ გერასიმეს ძე ტერ-მათეუზოვი ინსპექტორი ნიკოლოზ გერასიმეს ძე ტერ-მათეუზოვი.

ცნობანი და ბარათები ყველას მიეცემა აგენტებისაგან მთელს რუსეთის იმპერიის ქალაქებში.

Контора страховаго общ. **„УРБЭНЪ“**

Тифлисъ, Михайловская № 9, д. Попова. Телефонъ № 543.

(50—37)

**Изданіе газеты «Казбекъ»,**

пріостановленное распоряж. г. Министра Внутр. дѣлъ, на 8 мѣсяцевъ

возобновляется со **2**-го сентября 1898 г.

**Принимается подписка**

на общественную, политическую и литературную газету

**„КАЗБЕКЪ“**

**Условія подписки:**

Съ доставкою во Владикавказѣ на одинъ годъ . . . . **6** руб.
Съ пересылкою иногороднимъ » » » . . . . **7** руб.
Съ сентября по 31 декабря 1898 г. какъ городскимъ, такъ и иногороднимъ подписчикамъ **два** рубля.

**Плата за объявленія:**

На 1-й страницѣ за 1 разъ 20 к. послѣдующіе разы 10 к. ) со строки
На 4-й » » 1 » 10 к. » » 5 к. ) петита

Отдѣлный нумеръ 5 коп.

Подписиваться можно съ 1-го числа каждаго мѣсяца и до конца года. Подписка и объявленія принимаются во Владикавказѣ, въ конторѣ газ. «Казбекъ» у издателя С. І. Казарова. (12—9)


Дозволно цензурою. Тифлисъ, 11 Сентября 1898 г. სტ. „ცნ. ფურც.“ (გ. გუნიასი), რედაქტორ-გამომცემელი ვ. ზ უნი.